საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქ. ბათუმი

19 აპრილი 2018წ.

ბრძანება № 01-08/41

რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) სარეზიდენტო პროგრამებზე: ,,თერაპიული სტომატოლოგია", სუბსპეციალობის პროგრამაზე - ,,პირის ღრუს ქირურგიული სტომატოლოგია", გადამზადების პროგრამზე - ,,ორთოპედიული სტომატოლოგია და სპეციალიზაციის კურსის პროგრამაზე - "ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია" მიღების გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვისა და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა", საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის №135/ნ ბრძანების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის მოადგილის (№02/67885 31.10.2017წ.) წერილის, დეპარტამენტის ხელმძღვანელის მ. ბაქრაძის 18/04/2018წ. №432194 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს მისაღები კონკურსი რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) სარეზიდენტო პროგრამაზე: ,,თერაპიული სტომატოლოგია", სუბსპეციალობის პროგრამაზე - ,,პირის ღრუს ქირურგიული სტომატოლოგია", გადამზადების პროგრამზე - ,,ორთოპედიული სტომატოლოგია" და სპეციალიზაციის კურსის პროგრამაზე - "ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია" მიღების მიზნით.

2. კონკურსანტთა განცხადებებისა და საბუთების მიღება იწარმოებს ბსუ–ს კანცელარიაში 2018 წლის 19 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით 10სთ–დან 17სთ–მდე.

3. დიპლომისშემდგომი განათლების პროგრამებზე ჩარიცხვა განხორციელდეს შესაბამის სპეციალობაზე მისაღებ პირთა დადგენილი ოდენობის (კვოტის) ფარგლებში: „თერაპიული სტომატოლოგია“(კვოტა 3), „ორთოპედიული სტომატოლოგია“ (კვოტა 4); „პირის ღრუს ქირურგიული სტომატოლოგია“ (კვოტა 3); “ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია“ (კვოტა 6);

4. თუკი, დიპლომისშემდგომი განათლების პროგრამის მაძიებელთა ოდენობა აღემატება კვოტით დადგენილ ოდენობას, საუკეთესო გამოვლინდება შესაბამის სპეციალობაში ჩატარებული ტესტირების შედეგად.

5. სპეციალობის მაძიებლის ჩარიცხვის ბრძანება გამოცემული იქნეს კონკურსის შედეგების შესახებ სარეზიდენტო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე.

6. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ–ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

7. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ–ს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე განთავსდეს კანცელარიასთან და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანატთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში(ქ. ბათუმი ზუბალაშვილის ქ.№30)

9. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი ასოც. პროფესორი მერაბ ხალვაში